




საქართველოს მშპ-ის პროგნოზი: ვაჭრობა იზრდება, რეზერვები მცირდება, სესხები იზრდება

გრაფიკი 1 - საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა განაახლა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზი 2024 წლის მეოთხე და 2025 წლის პირველი კვარტლისთვის. ქვემოთ მოცემულია ამ თვის გამოშვების მთავარი მიგნებები.

მთავარი მიგნებები:

- საქსტატმა გამოაქვეყნა 2024 წლის ნოემბრის რეალური მშპ-ის ზრდის წინასწარი შეფასება, რომელიც 7.5%-ს შეადგენს. ამასთან, 2024 წლის პირველი კვარტლის შეფასებული ზრდა 8.7% შეადგენს, მეორე კვარტლის – 9.7%, მესამე კვარტლის – 11%. შედეგად, 2024 წლის იანვრიდან ნოემბრამდე რეალური მშპ-ის საშუალო ზრდა 9.4%-ს შეადგენს.
- ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი პროგნოზირებს, რომ საქართველოს ეკონომიკა 2024 წლის მეოთხე კვარტალში 8.8%-ით, ხოლო 2025 წლის პირველ კვარტალში 9.4%-ით გაიზარდება.
- ოქტომბრის მონაცემებზე დაყრდნობით, 2024 წლის წლიური ზრდა 8.9%-ით არის პროგნოზირებული.

მშპ-ის ზრდის პროგნოზზე მოქმედი ცვლადები ნოემბრის მონაცემებზე დაყრდნობით:

სასაქონლო ვაჭრობა. ნოემბერში საქართველოს ექსპორტი წლიურად 12.6%-ით გაიზარდა. ეს ზრდა ძირითადად განპირობებული იყო ავტომობილების ექსპორტის/რეექსპორტის (გაიზარდა 18.2%-ით წინა წელთან შედარებით), არადენატურირებული ეთილის სპირტის, სპირტიანი სასმელების, ლიქიორებისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების (გაიზარდა 21.9%-ით), ყურძნის ღვინის (გაიზარდა



9.9%-ით), დოზირებული მედიკამენტების (გაიზარდა 33.9%-ით), თხილისა და სხვა კაკლის (გაიზარდა 25.1%-ით), ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების (გაიზარდა 382.3%-ით) მნიშვნელოვანი ზრდით.

ამ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 14.2%-ით გაიზარდა, რაც ავტომობილების იმპორტის/რეიმპორტის (გაიზარდა 23.1%-ით), შერეული საქონლის (გაიზარდა 281.9%-ით) და ნავთობის აირებისა და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადების (გაიზარდა 49%-ით) წლიური ზრდით იყო განპირობებული. ამის საპირისპიროდ, შემცირდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი/რეიმპორტი (შემცირდა 23.8%-ით). შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 10%-ით გაიზარდა და 938 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

ოფიციალური სარეზერვო აქტივები: ნოემბერში ოფიციალური სარეზერვო აქტივები წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 19.5%-ით შემცირდა. სარეზერვო აქტივები წარმოადგენს მნიშვნელოვან ბუფერს გარე შოკებისგან და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაში. მათი შემცირება არა მხოლოდ ასახავს გარე მოწყვლადობის დაძლევის შემცირებულ შესაძლებლობას, არამედ შეიძლება მიუთითებდეს ინვესტორთა ნდობის შესუსტებაზე. შესაბამისად, სარეზერვო აქტივების ეს მნიშვნელოვანი შემცირება უარყოფითად აისახა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.

სამომხმარებლო კრედიტი. ნოემბერში კომერციული ბანკების სამომხმარებლო კრედიტის საერთო მოცულობა წლიურად 26.1%-ით გაიზარდა, რაც ასახავს საკრედიტო აქტივობის სიძლიერეს. მოკლევადიანი სამომხმარებლო კრედიტი წლიურად 73.5%-ით გაიზარდა, რაც განპირობებული იყო როგორც ეროვნულ (34.9%), ისე უცხოურ (206%) ვალუტაში გაცემული სესხების მნიშვნელოვანი ზრდით. ამასთან, კომერციული ბანკების მიერ გაცემული გრძელვადიანი სამომხმარებლო კრედიტების მოცულობა წლიურად 24.8%-ით გაიზარდა. სამომხმარებლო კრედიტის ასეთი ზრდა სესხების აღებისა და ხარჯვის გაზრდილ შესაძლებლობაზე მიუთითებს, რამაც ხელი შეუწყო შიდა მოთხოვნას და ნაწილობრივ გააბათილა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე მოქმედი ზოგიერთი უარყოფითი ფაქტორი.

ინფლაცია. ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაციის დონე 1.3%-ს შეადგენდა, რაც მნიშვნელოვნად დაბალია მიზნობრივ 3%-ზე. საერთაშორისო სასაქონლო ფასების სტაბილურობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინფლაციური წნეხის შემცირებაში. მოსალოდნელია, რომ ინფლაცია თანდათანობით დაუბრუნდება საშუალოვადიან მიზნობრივ მაჩვენებელს. აღსანიშნავია ისიც, რომ ნავთობის ფასები გლობალურ ბაზარზე (Euro Brent Spot Price) წლიურად 10.4%-ით შემცირდა. საერთო ჯამში, სამომხმარებლო ფასების ინდექსთან დაკავშირებულ ცვლადებს უარყოფითი გავლენა ჰქონდათ მშპ-ის პროგნოზზე.

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.